საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 181 კვირა, თებერვლის 25 (10) 1918 წ. № 181

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაცია უკვე ჩავიდა ტრაპიზონს 23 თებერვალს.—ამიერ-კავკასიის სეიმმა გუშინდელ სხდომაზე ერთ ხმით მიანდო ამ.-კავ. მთავრობის შედგენა.—მეზღვაურები ბათომის ნავთ-სადგურის ხელში ჩაგდებას აპირებენ.

ხელის-მომწერთა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.
[illegible] წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.
ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.
ტელეფონი 12—29

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე 30 კაპ.. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავარიშვილისეული „ნადეჟდა“) ბარნოვის ქუჩა, სახლი № 14 და ღირებულება ერთი მანეთით მეტი.
ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

თავზარდაცემულნი ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა, პატარა ლენა და თებრონია ზაქარიას ასული ქუმსიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მამის და სიძის, ტფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გამგეობის წევრის

## გიორგი (გოგლა) ვასილის ძის დალაქიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას ამა თებერვლის 19-ს ქ. კავკავში სამსახურის ასრულების დროს. ცხედარს გამოასვენებენ განსვენებულის ბინიდან (გუნიბის ქ. № 44), დღეს, კვირას, თებერვლის 25-ს, დილის 9 საათზე. წირვა და ანდერძის აგება—ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. 250

ტფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობა ღრმისა მწუხარებით აუწყებს სასურსათო და სხვა რევოლიუციონურს ორგანიზაციებს ტრაგიკულ გარდაცვალებას თავისი წევრის

## გიორგი ვასილის ძის დალაქიშვილის,

რომელიც მოხდა სამსახურის ასრულების დროს 19 ამა თებერვალს ქალაქ კავკავში. დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება გარდაცვალებულის ბინაზე, გუნიბის ქუჩა № 44, საღამოს 6 საათზე. ცხედრის გამოსვენება ბინიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია კვირას დილის 9 საათზე. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, დასაფლავება დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1085

პარასკევა კონსტანტინეს ასული, ნინო ალექსანდრეს ასული, გრიგოლ და იოსებ ზაქარიას ძენი ქურდიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ საყვარელ და ერთგულ სიძის და დაუვიწყარ ამხანაგის

## გოგლა დალაქიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 19 თებერვალს ქ. კავკავში გამოსვენება დღეს, 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბეში. 240

ტფილისის გუბერნიის საერობო აგრონომების ორგანიზაცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ყოფილ თანამშრომლის ერთგულ ამხანაგის

## გიორგი ვასილის ძის დალაქიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 19 თებერვალს ქ. კავკავში. გამოსვენება დღეს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბეში. 247

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ტრაგიკულად გარდაცვლილ

## გიორგი დალაქიშვილის

ჩვენი საზოგადოების გამგეობის წევრის დასაფლავებას. 1087

ქვრივი ელისაბედ ივანეს ასული, შვილი ნინო, შვილის შვილი თამარ, ვაჟნი: გიორგი, ნიკოლოზ, არჩილ და ილია ვასილის ძენი თავ. მაჩაბელნი დიდის მწუხარებით იუწყებიან, რომ ძმის და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 22-ს გარდაიცვალა

## თავადი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი

პანაშვიდი დღეს შაბათს ნაშუადღევის 1 ს. და 5 საათზე განსვენებულის ბინაზე, რომელიც იმყოფება ყორღანოვის ქუჩაზე № 28. გამოსვენება ბინიდან და დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში კვირას დილის 10 საათზე. 213

ტფილისის სამეურნეო ბანკის გამგეობა და მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 22 თებერვალს ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

## ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

გამოსვენება დღეს დილით 10 საათზე საკუთარის ბინიდან (ყორღანოვის ქ. სახლი № 28, ბინა 11) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ვერაზე, სადაც ცხედარი იქნება დაკრძალული. 1088

სოფიო გიორგის ასული, მაკო ვასილის ასული, ანტონ ალექსის ძე, თამარა ალექსის ასული ყაზბაზვილები, ციალა (თეკლე) ალექსის ასული ჩოლოყაშვილისა, კატო (ეკატერინე) ალექსის ასული როსტომაშვილისა და ელო ალექსის ასული ბაბილოძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი შვილის, მეორე—მეუღლის, მესამენი—ძმის

## სოლო ალექსის ძის ყაზბაზაშვილის

ვერაგულად მოკვლას 22 თებერვალს ქ. ტფილისში მერვე ქართული პოლკის ჯარისკაცების მიერ. დაკრძალვა მოხდება დღეს 25 თებერვალს ქ. [illegible] 249

[illegible] რაიონის კოლლექტივი [illegible] (ბოლშევიკებისა) ღრმა მწუხარებით აცნობებს ყველა ამხანაგს და ნაცნობს, 10 თებერვალს, მტკვარზე ალექსანდრეს ბაღში დაჭრილ

## ამხ. ლაზარე (ილიკო) სტეფანეს ძის სხირტლაძის

გარდაცვალებას ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან 25 თებერვალს დილის [illegible] საათზე. დასაფლავება წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 245

გულმოკლული დედა ელენე მალხაზის ასული პოპიაშვილისა, მამა ნიკოლოზ მიხეილის ძე პოპიაშვილი, ძმები ზაქარია, იოსებ და მიხეილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ პირველ მარტს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება უდროოდ წუთი სოფელს მოშორებული, მეორობით ლაზარეთის ფერშალი ქალის, საყვარელი

## თამარი ნიკოლოზის ასულის

მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი. წირვა საათის [illegible] დაიწყება. 248

გულდაწყვეტილი დედა სოფიო ნიკოლოზის ასული შ[illegible]ძე, და ელენე, ძმები: კონსტანტინე, ლევანი და ვახტანგი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი დაუვიწყარი შვილის და ძმის, კავკასიურ მსროლელთა მე-19 პოლკის პრაპორშჩიკის

## ნიკოლოზ (კოლა) ფილიპეს ძე შარვაშიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. მიცვალებულის გამოსვენება სამშაბათს 27 ამ თვეს დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 38

ორშაბათს 26 თებერვალს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ალლუმი

4 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., ივერიელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ვაჟნი: აბაშიძე ვ., გუნია ვ., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა. იმნაელი გ., კობახიძე ი., ქვეძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი ვ. ციციშვილი კ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. 1071 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.



## დიდი ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღთ, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 25 თებერვალს, გაიმართება

## ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით ბავშვების დღესასწაული საღამოს პროგრამით.
მონაწილეობს ყველა კლოუნი, აკრობატი და სხვ. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. შავი ნიღაბი და ყ[illegible]მანოვი, 2. მადრახელიძე და ბრონენოსცევი, 3. ურს იარჩაკი და ჩურკინი, 4. მედელაური და ჯოე-მორა, 5. დობრინინი და ქლინი.

ანონსი: სამშაბათს 27 თებერვალს აკრობატ კამის ბენეფისი. მოდის ვგვიპტელი ალი, მეფე ყველა ფენომენისა. 251

## საუბნო კომიტეტის წესდება

1) მთელი უბნის (კვარტალის) სახლის კომიტეტების წევრები ირჩევენ სამი პირისაგან შემდგარს საუბნო კომიტეტს (თავმჯდომარე, მდივანი და წევრი) და სარევიზიო კომისიას, აგრეთვე 3 პირისაგან შემდგარს.

**შენიშვნა:** საუბნო კომიტეტის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქმნას ხუთამდე კომიტეტების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით და არსებულ პირების მიხედვით.

2) საუბნო კომიტეტს ევალება სახლის კომიტეტის მოქმედების მოწესრიგება და უკანასკნელთა წარმომადგენლობის მოწყობა მთავრობის საზოგადო და კერძო სასურსათო ორგანიზაციების წინაშე ყველა იმ საკითხის გამო, რომელიც სახლის კომიტეტების მოღვაწეობას ეხება.

3) სურსათის განაწილება უბანში საუბნო კომიტეტს ევალება რის გამოც საუბნო კომიტეტი:

ა) ხსნის განმანაწილებელ პუნქტებს.

ბ) ნაღდი ფულით ყიდულობს უბნისათვის საჭირო სურსათს კოოპერატივებში, საუბნო და საქალაქო დუქნებში, უნაწილებს მას სახლის კომიტეტს და ნაღდ საქონელში ტალონებს აძლევს დუქნის გამგეს. ის სურსათი, რომელსაც სპეციალური ტალონი არა აქვს ნაწილდება სასურსათო ბარათის მიხედვით იმ პირობით, რომ ბარათზე ეს აღინიშნოს.

გ) გასაცემ სურსათის რაოდენობის გამოსარკვევად საუბნო კომიტეტი ვალდებულია ყოველთვის წარუდგინოს საქალაქო ან საკოოპერატივო დუქნის გამგეს უბნის მცხოვრებთა სია.

დ) პურის მიღების გასაადვილებლად საუბნო კომიტეტს შეუძლიან იმ ფურნედან მიიღოს პური, რომელსაც სახლის კომიტეტი ეკუთვნის, და ანაწილებს მას თავის განსანაწილებელ პუნქტიდან.

4) საუბნო კომიტეტს ევალება იმ კეთილმოწყობის და სადავო საკითხების გადაჭრა, რომელთაც სახლის კომიტეტებში ექნება ადგილი.

5) სასურსათო საქმეებს გარდა საუბნო კომიტეტი შეძლებისდაგვარად უბნის დაცვასაც იღებს თავის თავზე და ამისთვის რიგრიგობით იწვევს თავის უბნის მცხოვრებლებს, თვალყურს ადევნებს აგრეთვე თავისი უბნის სანიტარულ მდგომარეობას.

6) საუბნო კომიტეტის საქმეებს განაგებს ა) საზოგადო კრება, ბ) საუბნო კომიტეტი.

7) აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და სახლის კომიტეტებთან დაკავშირებულ საკითხების გადასაჭრელად თვეში ერთხელ იმართება ამ უბნის სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრება.

8) იმ ადგილებში, რომელიც თხლად არის დასახლებული და ამის გამო შეუძლებელია ცალკე სახლის კომიტეტების დაარსება, შეიძლება პირდაპირ საუბნო კომიტეტში შეერთდნენ: ამ შემთხვევაში საუბნო კომიტეტს ამ უბნის ყველა მცხოვრებნი ირჩევს.

9) საუბნო კომიტეტის არსებობისათვის საჭირო ხარჯის გამოძებნა სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრებას ევალება.

**როგორ უნდა მოეწყოს საუბნო კომიტეტები.**

სახლის კომიტეტების მოქმედების წესიერად წარმოებისათვის არსდება განსაკუთრებით საუბნო კომიტეტები.

2 ან 3 სახლის კომიტეტის წევრები (ინიციატორთა ჯგუფი) იწვევს სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრებას, მოახსენებს საუბნო კომიტეტის წესდებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საუბნო კომიტეტს ირჩევს ან ღია არჩევნებით ან ფარული, თანახმად კრების დადგენილებისა. იმისათვის რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს აუცილებელია ამ უბნის სახლის კომიტეტების 2 ან 3 წევრის დასწრება.

თუ პირველი კრება არ შესდგება, არა უგვიანეს 3 დღისა ხელმეორედ იწვევენ კრებას, რომელიც კანონიერად ითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

არჩევნების აქტი სარეგისტრაციოდ უნდა წარუდგინოს უბნის ინსტრუქტორს.

1082 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 37

დილის წარმოდგენა.

კვირას 25 თებერვალს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შ. დადიანის მონაწილეობით

## სამშობლო

5 მოქ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ივერიელი ა., ვაჟნი: ბარველი ვ., გვარაძე ნ., დადიანი შ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმნაელი გ., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ციციშვილი კ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. 107 რეჟ. ვ. ბარველი.

# იყიდება

## სტამბის ორი მანქანა დიდი ზომის,

თავის ელექტრომატორებით ორი ბასტონკა, ერთი ქაღალდის საჭრელი მანქანა დიდი ზომის, კასები და სხვა და სხვა რუსულ-ქართული შრიფტი ყოველნაირ სასტამბო მოწყობილებით. პირობების გაგება შეიძლება „სახალხო საქმის" სტამბაში ბარონის ქუჩა № 14. 1089

# ქალთა კრება

დღეს 25 თებერვალს

ნადულის რედაქციაში საღამოს 6 საათზე **კრებაა.** იქვე სრულ 5 საათზე შესდგება

## პრეზიდიუმის კრება

განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხი. ვთხოვთ ყველას დასწრონ. 1086

# პური და ნავთი

22 თებერვლიდან საუბნო საბარათო ბიუროებში

## პურის და ნავთის ბარათების დარიგება უკვე დაიწყეს.

## პირველ რიგში ბარათები

## მიეცემა სახლის კომიტეტებს,

რომელთაც ბარათების მისაღებად საუბნო ბიუროში უნდა წარმოადგინონ სასურსათო ბარათები სახლის მცხოვრებთა სია მათი გვარებით და სასურსათო ბარათის ნომრებით.

პურის (მარტის) და ნავთის ბარათები კერძო მოქალაქეებს მიეცემა სასურსათო ბარათის წარდგენით.

საბარათო განყოფილებასთან არსებული პურის ბიურო კოლექტიურ ბარათებსაც აძლევს საავადმყოფოებს, ინტერნატებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებას.

ქალაქის გამგეობის საბარათო ბიურო.

1918 წ. 21 თებერვალი. 1084


**ტფილისი, 25 თებერვალი 1918 წ.**

**ხულიგანური აზრები.**

ვინ არ იცის, რომ ტფილისში „მუშათა, სალდათების და გლეხების დეპუტატთა საბჭოების ცენტრი" არსებობს. ამ მეტად ყვირალა და პოპულიარულ სახელების ორგანიზაცია რევოლუციის პირველ დღეებში ანაზდად და წყნარად დაიბადა ნამალადევის ერთ დარბაზში, საიდანაც მალე გამოსძებნა სასახლის თბილი ადგილები, ხაზინის ტკბილი რესსურსები და მალევე დაიწყო მოქალაქეების გასახედნავად ცირკულიარების და პროვიზორულ კანონების გამოცემა. ტრაფარეტად გარდაიქცა ის აზრი, რომ ამ ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა რევოლიუციის პირველ ხანებში, მაგრამ-რა მოგახსენოთ თუ ეს აზრი სიმართლე შეიცავს, ნამდვილად შეიქმნა იგივე ორგანიზაცია შემდეგში ისე უვარგისი, რომ მისი „რევოლიუციონური ზეგავლენა" თვით სოციალ-დემოკრატიამ სახ ფართოდ აღიარა და საოლქო ყრილობაზე კი სავსებითაც აუკრძალა პროვიზორულ კანონების გამოცემა, რაც სულსა და გულს შეადგენდა ამ ორგანიზაციისას.

დღე ამ კითხვაზე პასუხი აგონ ტფილისის რევოლიუციის გუშაგებმა, მაგრამ რომ ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ ფიქრობს გადადგომას და პრეტენზია აქვს უმაღლეს პოლიტიკურ როლის თამაშისა—ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ ხსენებული ორგანიზაცია ტფილისშივე სცემს დიდი პრეტენზიის დიდ გაზეთს, რომელსაც ოფიციოზის სტილი და თავხედობა აქვს მიკუთვნებული.

ამას წინად ეს გაზეთი ფედერალიზმის გალმერთებას უკმევდა გუნდრუკს და ამ მოძღვრების შემეცნების თვალსაზრისით სჭრიდა ეროვნულ და ინტერნაციონალურ საკითხებს, მაგრამ დღეს კი რაღაცა პერტურბაცია მომხდარა სასახლის მოღვაწეთა შორის და მთლიან ფრონტის ხალხი დღობილა ყრიან მთლიან რუსეთის სასარგებლოდ. რასაკვირველია კრინტსაც არავინ დასძრავს მთლიან რუსეთის წინაამდეგ, მაგრამ საინტერესოა, რომ კოროლიოვების მთლიანობა ეროვნულ მთლიანობაში კი არ გამოიხატება, არამედ ეროვნულ მთლიანობის საზღვრების წაშლაში და ძველი ინტერნაციონალური იდეების აღდგენაში. თუ რას შეიცავს ეს ძველი ინტერნაციონალური იდეა იქიდანაც კარგადა სჩანს, რომ „კრაევოი ცენტრის იზვესტია" აღშფოთებულია ამიერ კავკასიის გამოყოფისა რუსეთისაგან!! თურმე ნუ იტყვით ეს საქმე ყოფილა უდროული რაიცა დროულად იწამა ითქმის ერთხმად დღევანდელმა სეიმმა, თურმე მთელი სეიმი ცდება და არ სცდება მხოლოდ ის გზა-აბნეული კოროლიოვები, რომელსაც რუსეთი და ველიკოროსია ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია.

ვითომდა ოფიციოზური გაზეთი აღიარებს, რომ დროა დემოკრატია გამოფხიზლდეს და ეხლა მაინც თავი გაანებოს ეროვნულ გზით სიარულსო, სოციალ-დემოკრატიული „იზვესტიის" მწერლები ებრძვიან ეროვნულ საბჭოებს, სხვა და სხვა ეროვნულ პოლიტიკას, ჯარის ნაციონალიზაციას და სხ. ეს აშკარა ხულიგანური აზრები ეფინება ჩვენს საზოგადოებას უმთავრესად მაშინ როდესაც არც ერთი დარგი ცხოვრებისა ნაციონალიზაციით არ მოწყობილა, როდესაც ფრიად საჭირო დამთავრება დაწყებული საქმისა, რომლის გარეშე ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ დაიღუპება. სოციალისტურ ქურქში გახვეული ველიკოროსული დერჟიმორდები დემოკრატიის ძახილში ცდილობენ კვლავ აღადგინონ რუსულ ბატონობის ტიპები და ჩვენი ქვეყანა გარდააქციონ ნოვგოროდში დაბეჭდილ წიგნის და კოსტრომაში გამოთლილ ჯამის ბაზრად. ეს ველიკოროსული იდეა კაი ხანია სოლოვიოვებისა და მენშიკოვებისაგან სლავიანურ მესიანიზმის სახით გვევლინებოდა უმთავრესად პეტროგრადის და მოსკოვის აკაკოვის კლუბის ნაშთებისაგან და დღეს კი ჩვენს სატახტო ქალაქში უმაღლეს ინტერნაციონალურ აზრების სამოსელში გვიქადაგებენ ძველის ძველ ამბებს.

რა საწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყანა ასე ადვილად გარდაიქცა უძლლო ქვეყნად, სადაც კატები და ცინტლები ყეფენ შეუცხვენელად. მაგრამ როდემდის უნდა გაგრძელდეს ამ შავ კბილებიან ადამიანების კნავილი და მათი ხულიგნური აზრების აწყობა ჩვენი ხელებით. ბეჭდვა ჩვენი ქონებით და გავრცელება ჩვენი ხელებით? ნუ თუ ყურადღებას არავინ მიაქცევს ამ უპატრონო და უპასუხისმგებლო ორგანოს, რომ მუშეისა და სალდათების სახელით არ იქადებოდეს ხულიგნური აზრები, რომელსაც მუშებსაც აყნებენ და სალდათებსაც. დროა აილაგმოს ეს კაცი ჭამია ველიკოროსების ნაციონალისტები, რომელნიც ინტერნაციონალის ღილინში ცდილობენ კიდევ მეორე ასი წლის განმავლობაში ვატაროთ მძიმე ეროვნულ მონობის უღელი.

# ეროვნული ღალატი

ამ დღეებში ჩვენ ღალატზე გვქონდა ლაპარაკი. საქართველო გაყიდა რუსეთის დემოკრატიამ, ჩვენი ნებისყოფის გარეშე ჩვენ მოგვაცალეს ჩვენი საუკეთესო ნაწილი—ბათომის მხარე. ინტერნაციონალურ სოლიდარობის ქადაგებაში „ინტერნაციონალისტებმა" ინტერნაციონალური ღალატით გაგვცეს პასუხი. ამ ღალატის ჩადენა წილად ხვდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იმ ფრაქციას, რომელსაც ბოლშევიკებს უწოდებენ: მაგრამ საქართველოს „ინტერნაციონალური" ღალატი არ ახალია, ძალიან ძველი ამბავია, მეცხრამეტე საუკუნე საქართველოს გაყიდვის და ღალატის საუკუნეა და დღემდე ამ ღალატის ავტორები იყვნენ არა მარტო გერმოგენები, მენშიკოვები, პალმები და სუვორინები, არამედ ის სოციალ დემოკრატები და რუსეთის კოალიციონისტები, რომელნიც მენშევიკებისა და ესერების სახელით მოქმედებდნენ.

ამ ძალების ღალატზე არ გვინდა მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ. საგარეო ღალატის სათავე ეროვნულ ღალატიდან მიმდინარეობს, თვით ჩვენშია სათავე იმ ღალატისა, რომელიც ასე საშინელის სახით გამოიხატა ბოლო დროს საგარეო ღალატში.

სად არის ძირითადი მიზეზი ამ ღალატისა?—აქ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: ეროვნულ საკითხის მოძულეობა აუცილებელი პირობაა მოღალატეობისა და მენშევიკ ბოლშევიკებს, რომ თავის დროზე ან ეხლა აწამდეთ მტკიცედ და გულწრფელად ეროვნების სრული უფლება, თვით-არსებობა, თვით მოქმედება და თვითმართველობა, მაშინ შესაძლებელიც არ იქნებოდა ინტერნაციონალური და ეროვნული ღალატი.

დღეს მთელი შეგნებული საქართველო აღშფოთებულია ინტერნაციონალურ ღალატის გამო, მაგრამ ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ეს ღალატი ეროვნულ საკითხის სიძულვილისაგან არის წარმოშობილი და ვისაც მართლა სურს ამიერიდან აღარ არსებობდეს ასეთი ღალატი, უნდა სამუდამოთ მოისპოს მიკიბულ-მოკიბული აზრი ეროვნებაზე და ერები ჩამოვაყალიბოთ, როგორც ეროვნებანი.

ჩვენთვის საინტერესო არ არიან ის შავრაზმელი ავანტიურისტები და ნაძირალები, რომელნიც ეროვნებას მუდამ უარყოფდნენ, გულს გვიღალავს და სულს გვიფორიაქებს ის აზრი, რომ ერის თავისუფლებას დღესაც სდევნიან დემოკრატიული ელემენტები, რომელნიც ბუნდოვანის და ორჭოფულის დებულებით თითქოს პატივს სცემენ ეროვნებას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ დაინახა, რომ ეროვნულ საკითხის მიფუჩეჩება შეუძლებელია, დღეს დავინახეთ, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ჩვენს შრომაშია და არავითარი კომბინაცია სარგებლობას არ მოგვიტანს თუ ის არ გამომდინარეობს ერის ორგანიზაციიდან. სულ გუშინწინ, როდესაც ეროვნულ საბჭოს მიტინგი იყო გამართული, სოციალ დემოკრატ მოლაპარაკეს გამოეცხადებია მიტინგზე, რომ სოციალ-დემოკრატები ყოველთვის იცავდნენ ეროვნულ საკითხსო. დღეს სავსებით გარკვეულია ყველასათვის, რომ ერის საქმეებს მხოლოდ ეროვნული მთავრობა მოაგვარებს, მაგრამ ეს აზრი განა იწამა ჩვენში მენშევიკების პარტიამ?

ეროვნულ მთავრობის აზრი ეხლა ყველაზე დიდი საკითხია, თუ ეს საქმე არ მოგვარდა დაუყონებლივ—ჩვენი ქვეყანა გადაშენდება და მოლიად ც დაიღუპება თუ ომის ხანაში მოუხდა ცხოვრება. ამისათვის ჩვენ ვალდებული ვართ გარკვევით და მტკიცედ ვსთქვათ ყოველი სათქმელი და მით მოვიხადოთ ეროვნულ მოქალაქობრივი მოვალეობა.

ჯერ კიდევ არ გამშრალა მელანი, რომლითაც დაიწერა სოციალდემოკრატების საოლქო ყრილობის რეზოლიუციები. ამათი კრება იყო ისევ ამ თებერვალში და საოლქო კრებამ თავზე მოახვია ქართველობას ისევ და ისევ ის კულტურული ავტონომია, რომელიც სასაცილოდ აგდებულია დღეს ყოველ მოაზრეს მიერ. მართლა, ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ომის განმავლობაში მეტის-მეტად შეიცვალა სოციალ-დემოკრატიის შეხედულებანი ეროვნულ საქმეზე, მაგრამ ეს ოცნება ვადაც არ არის მართალი. მართალია სოციალ-დემოკრატია დაიბნა სავსებით, მისი აზროვნება დამახვრეულია, პრინციპების პარტია გარდაიქცა უპრინციპო ადამიანების გროვად, დაფლეთილი იდეების კრებულად, მაგრამ დახავსებულ ადამიანებმა ველარ შესძლეს პარტიის გამოყვანა ქაოსის უფსკრულიდან და დღეს მთელი პარტია ხავსსაა ჩაკიდებული. დიახ, სოციალ-დემოკრატიის მ ჯილობის უსაფუძვლობა ყველასათვის აშკარაა, მაგრამ მათი პროგრამა და პოლიტიკა მაინც უცვლელია. ეს არის სინამდვილე და ისიც არის ჩვენი უბედურება. გარეგნულად სოციალ-დემოკრატია ყოველ წუთში სცვლის ტაქტიკას, მაგრამ არსებითად არაფერი იცვლება, ჩვენ ისევ იმ სოციალ-დემოკრატიასთან გვაქვს საქმე, რომლის გულზე ეროვნების სიძულვილია აღბეჭდილი.

რასაკვირველია არიან ისეთი ადეპტები, რომელნიც ცდილობენ პარტიის დახსნას ასეთ უმწეო მდგომარეობიდან, მაგრამ ამ ადამიანთა მნიშვნელობა ყოველ ძალას მოკლებულია. ჩვენს წინაშე სილუეტია ამ პირთა ტანჯვისა, მათი აგონიისა. განა ცხრამეტი თებერვალი შორს არის, რომ დაგვავიწყდეს მაშინდელი დოკუმენტები? განა ოქმებში არ არის ჩაწერილი ჩხენკელის სიტყვა, რომლითაც ის ქართველობის სახელმწიფოებრიობას აღიარებდა? განა გრიგოლ გიორგაძე არ იყო, როცა იძახდა საქვეყნოთ: რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს **პოლიტიკურ ავტონომიასო?** განა ამაებისათვის ტაში არ მიიღო ჟორდანიამ? მაგრამ გვითხრან სოციალდემოკრატიის ამ ლიდერებმა, სად არის მათი დაპირება? სად არის მათი სიტყვა, მათი საქმე? გიორგაძე, ჩხენკელი, ჟორდანია და მათი ძმანი სხედან არა რუსეთში, თვით ჩვენს სატახტო ქალაქში, მაგრამ აქაც კი არ ქნიან ავტონომიას და ეროვნების სრულს თვითმოქმედებას, როდესაც ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ეს ეროვნული ღალატი სოციალ-დემოკრატიის დამახასიათებელი თვისებაა, მათი უპრინციპობა და უაზრობაა.

ჩვენ საბუთი მოგვცეს გიორგაძეებმა და ჟორდანიებმა, რომ მათ სიტყვებს არ ფერი დაუჯეროთ, ქართველობამ ეს გულზე უნდა აღიბეჭდოს და დარწმუნდეს, რომ ღალატის პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გაქრალა, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენ მოწამენი ვართ სიტყვის ღალატის, დაპირების ღალატის, ეროვნულ საქმის ღალატის. ჩვენ უნდა ვსთქვათ და საქმედაც გარდავაქციოთ, რომ ფიზიკურად ბოლო მოუღოთ ამ მოღალატეობას, მთელი ქართველობის გამასხრავებას, ვინაიდან ვიდრე ეროვნული ღალატი გაგრძელდება, კვლავ დაგვატყდება თავზე ინტერნაციონალური ღალატი და მთელი საქართველოს დაღუპვაც.

თედო ღლონტი

# ქართველ ხალხს!!

საქართველოს ცა კვლავ შავი ღრუბლებით შეიმოსა. ბედმა კიდევ უფსკრულის წინაშე დაგვაყენა. მტერი ემუქრება მიწა-წყალს, შინაური ანარქია—მიწასთან გვასწორებს. და აი ამ გაჭირვების დროს, როდესაც ყველა ერთად მჭიდროთ შეკავშირებული უნდა ვმოქმედობდეთ, ჩვენი ძალები დაქსაქსულია, ჩვენი ენერგია ერთიერთმანეთთან ბრძოლაში ილევა. ჩვენი ისტორია გვასწავლის, რომ საქართველო ბევრჯელ ყოფილა ძაძებში გახვეული მაგრამ თავისი ძლიერი სული შერჩენია და კვლავ გაბრწყინებულა. ეხლაც არ ვკარგავთ ამ იმედს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეხლანდელი დრო კაპიტალისტური წესწყობილებისაა, როდესაც ცხოვრება უფრო გართულებულია, როდესაც ცხოვრების ნერვი დიდ ქალაქებშია გადატანილი, უფრო ძნელია ვიდრე ჩვენი წინაპრებისა, უწინ თუ ტყეებში იხიზნებოდნენ და ამით ფიზიკურ არსებობას ინარჩუნებდნენ, ეს დღეს ყოვლად შეუძლებელია ამიტომ თუ ქართველ ხალხს სიცოცხლის სურვილი აქვს, საჭიროა მთელი სულიერი და მატერიალური ძალების სამშობლოს წინაშე შეწირვა: ქართველო ხალხო! შენი სიცოცხლე განსაცდელშია აღსდექ და დაიცავი იგი! ის შეცდომა რომელიც შენმა ბელადებმა ჩაიდინეს, შენვე უნდა გამოასწორო! თუ სიცოცხლე გინდა, შენი სხეული ორად არ გააკვეთინო—შენი სამშობლოს საუკეთესო ნაჭერი ბათომის ოლქი არავის დაანებო. იმიტომ რომ ეს ის სისხლის მილია, რომლითაც შენ იკვებები, ეს ის თვალია, რომლითაც შენ იხედები, ეს ის გზაა რომელიც შენ გაერთებს კულტურულ ქვეყნებთან; ჩვენი ძველი კულტურა მის მიდამოებშია აღმოცენებული. ქართველო ხალხო! უკუაგდე შური და შინაური უთანხმოება ყველა ერთად განურჩევლად რწმენისა, სქესისა და სარწმუნოებისა. ქართველო ხალხო! ჩაუფიქრდი შენს მდგომარეობას და თუ გინდა კვლავ შენი სამშობლო აყვავდეს, ისევე მჭიდროდ შეკავშირდი მოიგონე ის მოვალი, მსხვერპლი, რომელიც შენ შეგიწირავს საქართველოსათვის. ყოველი მოიგონე იმ წამებულთა გვამები, რომლებიც შენ თვალ წინ შესწირეს თავი თავისუფლებას. ნუ დაგავიწყდება რევოლიუციით მოპოვებული უფლებანი. ნუ თუ ყველა ამან უნაყოფოდ უნდა ჩაიაროს?!

თუ შენ ეხლა დამარცხდი, ხელში შეგრჩება ისევ ძველი მტარვალობა, ისევ ძველი უსამართლობა და ჩაგვრა და თუ აქამდის ხის უღელი გედგა კისერზე, ახლა რკინის უღელს დაგადგამენ.

ქართველო ხალხო, გაითვალისწინე ყველა ეს და ეხლავე შეკავშირდი. ერთსულოვანი მოქმედებისათვის გამოსავლილად.

გრიგოლ ციციშვილი.

# ბოლშევიკები ბათუმში.

ამიერკავკასიის კომისარიატს ბათომიდან დეპეშით ატყობინებენ:

„სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირის ბათუმის განყოფილებამ, რომელიც არ სცნობს ამიერკავკასიის კომისარიატს და ემორჩილება სახალხო კომისარების საბჭოს, დაადგინა თავის გამგებლობაში მიიღოს ბათომის სავაჭრო პორტი და გადააყენოს აღნიშნულ სამმართველოს მოსამსახურეები, რომელნიც მეზღვაურთა კავშირს არ ემორჩილებიან. ამ დღეებში სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები ძალმომრეობით აპირებენ პორტის სამართველოს ბინის ხელში ჩაგდებას. კერძოდ დაქირავებული მოსამსახურეები სთხოვენ ამიერკავკასიის კომისარიატს გაუხსნას კრედიტი ჯამაგირის მისაღებად წლის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მეზღვაურთა კავშირის ძალა უფლებას აღიარებენ. გთხოვთ სასწრაფო განკარგულებები მისცეთ ადგილობრივ მთავრობას, რათა ყოველი ღონე იღონოს ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

პორტის გამგე **ლვოვი.**

# სოხუმის ამბები

სოხუმიდან ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი 22 თებერვლის თარიღით ატყობინებს შინაურ საქმეთა კომისარს:

16 თებერვალს საღამოთ პორუჩიკმა კონტრ-ნაღმოსან „დაკია"-ს მეზღვაური მოჰკლა, რომლის კომანდა თვეზე მეტს დასცურავდა შავ ზღვაზე და ტრაპიზონში ნადავლი ქონებით ვაჭრობდა. ეს მეზღვაურები შიშის ზარს სცემენ სანაპიროების ქალაქებს: დაარბიეს იალტა, ყუმბარები დაუშინეს ტრაპიზონს და სხვ. ამას წინათ ეს კომანდა ორჯელ დაეცა თავს სოხუმს.

საღამოთი მოჰკლეს ერთი მეზღვაური იმავე კომანდისა და თანაც ტყვედ წამოიყვანეს, რათა გაეფრთხილებიათ რომ არ დაეშინათ ყუმბარები მეორე ნაღმოსნიდან, რომელიც აგრეთვე შავი ზღვის ნავთსადგურებში თარეშობს სავაჭრო მიზნით.

ბოლშევიზმი გაძლიერდა სურსათის ნაკლებობის გამო. ამას ხელს უწყობდნენ მეპაპიროსეები და ჯარის კაცები, რომელნიც ყარაულებად არიან აქ დანიშნული ადგილობრივ მუშ. და ჯ. კ. საბჭოს მიერ. მეციხოვნეთა რაზმები მთლად დეზერტირებისაგან და სისხლის სამართალში მიცემულთაგან შესდგება; ამ გარნიზონს განზრახვა ჰქონდა თავის ხელში ჩაეგდო ძალა-უფლება. ამ შემთხვევაში ქალაქსა და მეზღვაურების კონფლიქტში ჩაერივნენ ბოლშევიკები.

კომანდამ ისარგებლა შემთხვევით და მოითხოვა დატყვევებულთა დაბრუნება და მკვლელის დასჯა სიკვდილით. ტყვეები იპოვეს და დაუბრუნეს, ხოლო მკვლელის, პარუჩიკ ემუხვარის შესახებ დეპეშები დაგზავნეს.

17 თებერვალს დილით მეზღვაურები ემუქრებოდნენ ქალაქს ყუმბარებით; შეადგინეს კომიტეტი ქალაქის დასაცავად და მკვლელის მოსაძებნად, რადგან მეზღვაურები არ ენდობოდნენ მთავრობას. კომიტეტში შევიდა 10 ბოლშევიკი.

აფხაზებმა, რა გაიგეს მომხდარი ამბები, დააპირეს სოხუმისაკენ გამგზავრება. მე, სახოკია და სვანიძე წავედით მათთან და ურჩიეთ აფხაზებს, არ გამომგზავრებულიყვნენ. ამავე დროს ემუხვარი და მისი ძმა ცხენოსანი ბანდა მეგრელებით მოვიდნენ დრანდიდან. საღამოს გავიგე, რომ ემუხვარი კომიტეტმა კი არ გაასამართლა, არამედ მეზღვარებმა, რომელთაც დაახჩეს ის ორთქლით. ასეთივე ბედი ეწვია უდანაშაულო ბაღიას.

მოლაპარაკება გავმართეთ სახალხო საბჭოსთან. საბჭომ მოითხოვა კომიტეტის დაშლა, საყარაულო რაზმის ჯარის კაცთა რუს მეციხოვნეთა და მორჩილება, და ბატარეის გადაცემა აფხაზთა ასეულისათვის, [illegible] იმ პირთა სიის გამოქვეყნებას მოითხოვა, რომელნიც [illegible] გაასამართლეს. ბოლშევიკები არ დასთანხმდნენ ამ მოთხოვნებზე, გაალეს საოლქო სატუსაღო, გაანთავისუფლეს იქიდან ცნობილი ყაჩაღები, რომელნიც გაემგზავრნენ ქალაქში და საწყობები დაარბიეს, დრონდელ მეგრელებს იარაღი გაუგზავნეს, რათა მათ წინააღმდეგობა გაეწიათ კოდორელებისათვის, რომელნიც ჩვენ საშველად მოდიოდნენ და შემდეგ თავისუფლად წავიდნენ თავის ნაღმოსანზე.

17 თებერვალს სადილობის დროს ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვენებებინა ქალაქი ხულიგნებისათვის დასარბევად. სომეხთა წითელ-რაზმელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს: ათია დაჭრილი და მოკლული მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ჩვენის მხრით კი ერთია. ქალაქს ყუმბარები დაუშინა კრეისერმა „კარლოსმა" და ნაღმოსანმა და ჰაერიდან კი ადგილობრივი რაზმების ჰაეროპლანმა. 30 იარაღზე მეტი გამოისროლეს. მსხვერპლი არ არის.

20 თებერვალს მენშევიკებმა დაინახეს თუ რა ზიანი მოუტანეს ქალაქს და გამოუცხადეს კომიტეტს, რომ მას უფლებები ჩამორთმეული აქვს.

21 თებერვალს ღამით ქალაქი ჩვენებმა დაიკავეს, საავიაციო რაზმი დაგვნებდა, მოდარაჯე რაზმი და ყაჩაღებიც გაიქცნენ, დრანდში საშინელი მდგომარეობაა. აუცილებელია სისხლის ღვრა ჩვენ არა თუ არ გვემორჩილებიან, ძალიან მტრულადაც არიან განწყობილნი ჩვენდამი. დრონდელები საშინელ მდგომარეობაში არიან და შეიძლება იძულებული შეიქმნენ სთხოვონ ოსმალეთს დესანტის გადმოსხმა, თუ წესიერება არ აღსდგება. ჩემის აზრით საჭიროა სწრაფი ზომების მიღება. დელეგატების გამოგზავნა საქართველოს საბჭოს მიერ და დელეგაციის შევსება ზუგდიდიდან და სენაკიდან.

# მეორე რევოლუცია

**ახალი კომისარიატი.**

სახ. კომისარების დეკრეტით ახალი კომისარიატი არსდება მუსულმანთა საქმეებისათვის. კომისარიატში წევრებად შედიან დამფ. კრების წევრები მოლლა - ნურ - ვახიტოვი, მალიმზიანი იბრაგიმოვი და მარიფ მანატოვი.

**ახალი გადასახადი.**

ბოლშევიკებმა შემოიღეს გადასახადი რიალებზე.

**მღვდელ-მსახურთა დათხოვნა.**

სახ. კომისარებმა ბრძანება გამოსცეს, რომ დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქმნან სამხედრო უწყების მღვდელი მსახურნი, განურჩევლად სარწმუნოებისა.

**ყირიმის რესპუბლიკა.**

თათრების სარევოლიუციო შტაბმა ყირიმი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. ყველა ერის ერობათა, ქალაქთა და მუშათა საბჭოების წარმომადგენელნი შეუერთდნენ მათ და აღიარეს ყირიმის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

# უცხოეთი

**საბერძნეთი.**

ათინადან იუწყებიან: ვენიზელოსი ძველებურად შეურიგებელი მტერია გერმანიის და აქტიურ ბრძოლას ეწევა გერმანიისა და რუსეთის ზავის მომხრეებთან. ამ ნიადაგზე ვენიზელოსმა დაატუსაღა ყოფილი მინისტრები ლამბროსი, სკულუდისი და გენერალი კოუნდურისი.

**მშვიდობიანობის ჩამოგდება და ვილსონი.**

„ფოსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტს ერთმა გამოჩენილმა დიპლომატმა ბერლინში უთხრა: ვილსონი რომ თავს შეაკავებდეს და არ ერეოდეს ოსმალეთის საქმეებში, საყოველთაო ზავის შესახებ მოლაპარაკების საქმე უკეთ წავიდოდა. ბერლინელ დიპლომატის სიტყვით, ოსმალეთი ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც მრავალი ერი შედის და ამის გამო ის ისევე წინააღმდეგი უნდა იყოს მის საქმეებში ჩარევისა, როგორც ავსტრია-უნგრეთი.

**ფინლანდია.**

ფინლანდიაში წითელმა რაზმმა დეპეშები დაგზავნა იმის შესახებ, რომ ფინლანდიის ყველა მოქალაქე, რომელიც ფინლანდიის სოციალ-დემოკრატების აზრს არ იზიარებს, ვალდებულია 24 საათის განმავლობაში ჩააბაროს იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სიკვდილით იქმნებიან დასჯილნი.

ჰელსინგფორსთან შეტაკება ჰქონდათ ბურჟუაზიასა და გლეხობას ერთის მხრით, და ფინელ წითელ რაზმელებს მეორეს მხრით. ორივე მხარეზე მრავალი მოკლული და დაჭრილია.

—

ფინლანდიის დიპლომატიის წარმომადგენელმა ბერლინში პროტესტი განუცხადა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს იმის გამო, რომ რუსის ჯარი დამოუკიდებელ ფინლანდიის საქმეებში ერევა.

—

გერმანიის მთავრობამ განაცხადა რომ ის, როგორც ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები, არ სცნობს ფინლანდიის ახალ მთავრობას.

**ნავთი გერმანიაში.**

ბადენის მთავრობამ კანონ-პროექტი გამოსცა ნავთის წყაროების ექსპლოატაციის შესახებ ბადენში, იმ მიზნით რომ განათავისუფლონ შეძლებისდაგვარად გერმანია საზღვარგარეთის ნავთის შემოტანისაგან.

**რუსეთის კრედიტორები გერმანიაში.**

უკანასკნელ ხანებში გერმანიაში კვლავ აღიძრა საკითხი რუსეთის კრედიტორთა ინტერესების დამცველ კავშირის დაარსებისა. გერმანიის მთავრობა, რომელიც წინათ ამის წინააღმდეგი იყო, ეხლა აღარ ეწინააღმდეგება მის დაარსებას.

**პროპორციული წარმომადგენლობა.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ თემთა პალატამ 238 ხმის უმეტესობით, 141-ის წინააღმდეგ უარჰყო ბილი პროპორციული წარმომადგენლობისა, რომელიც ლორდთა პალატამ შეიტანა. ამის გამო პროპორციული მთავრობის შექმნის მიდრეკილება სამუდამოდ დამარცხდა.

**საფრანგეთი.**

როგორც პარიზიდან იუწყებიან, ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტს პენლევეს კლემანსოს მეგობრები ბრალს სდებენ იმაში, რომ მან თავის კონტრ-ბრძანებებით შეაფერხა ფრანგების შეტევა გასული წლის აპრილში. პენლევემ საჯაროდ განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს პალატის ღია სხდომაზე გაილაშქროს ბრალმდებელთა წინააღმდეგ და გამოაშკარავოს ფრანგების წარუმატებელი შეტევის მიზეზები.

**ინგლისის მთავრობა.**

როგორც პეტროგრადის გაზეთები გადმოგვცემენ, ლონდონის გაზეთი „დეილი ნიუზ" ამბობს, რომ კატასტროფიული იქნება მთელი ერისათვის ლლოიდ ჯორჯის, მილნერის და კერზონის მთავრობის მოღვაწეობა, იმ პირთა მთავრობის, რომელთათვისაც უცხო და უცნობია დემოკრატიის ინტერესი. ამ მთავრობამ ვერ შესძლო ომის ნაყოფიერად წარმოება და ვერ მიაღწია ზავს, რადგან მას სიჩუმის [illegible]ცვა უხდება დემოკრატიის წინაშე. [illegible]მარიტ მთავრობას წარსული არ [illegible] ჰქონდეს: ასეთი მთავრობა, თუ [დე]მოკრატიულ თვალსაზრისს ადგას, [illegible]ალა განაცხადებს, რომ ინგლისი [illegible] ამბობს ომის წარმოებაზე გამარ[ჯვე]ბამდე და არავითარი საერთო არა [აქ]ვს იდუმალ დიპლომატიასთან.

—

ტრედ-იუნიონისტებმა მიტინგები გამართეს იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობამ მოითხოვა ჯარის შევსება. დემონსტრაციის დროს მადნებზე მომუშავეებმა არა ოფიციალური კომიტეტი აირჩიეს მუშათა ინტერესების დაცვისათვის.

# ვ. გელოვანი

დღეს სამი წელი შესრულდა, რაც ეროვნულ მებრძოლთა რაზმს გამოაკლდა მტკიცე ნებისყოფის მამულიშვილი—ვარლამ გელოვანი. მაშინ, როდესაც ვარლამი მოღვაწეობდა სახელმწიფოებრივ ასპარეზზე მძიმე იყო ეროვნულ მებრძოლის მდგომარეობა. მაგრამ დღეს ვინ არ მოიგონებს ვარლამის სახელს, მის მუშაობის აზრს, როდესაც ვარლამის აზრების მოსარჩლე თითქმის ყველა სოციალისტური პარტიაა.

მისი მეგობრები დღეს უფრო გამხნევებული ვართ დღეს, ვიდრე ვიყავით ოდესმე. ჩვენი რაზმი გაიზარდა, ჩვენი სიტყვა გავრცელდა, ჩვენი წინანდელი ზრახვანი სახელმწიფოებრივ ზრახვად იქცევა. ასეთ დროს უფრო საჭირო იყო ვარლამისთანა მებრძოლი, მაგრამ ჩვენ, მისი ახლობელი ამხანაგები, იმით-ღა ვნუგეშობთ, რომ ვარლამის ცხოვრების მიზანი გარდაიქცა ხალხის გზად და ხიდად, ვარლამი ჩაიქსოვა ხალხის მიზანს და ამნაირად მისი სახელმწიფოებრივი იდეალი დღეს პრაქტიკულად ხორციელდება.

იყავი მშვიდად ჩვენო ამხანაგო ვარლამ. შენი სახელის გარშემო იკრიბება შეგნებული საქართველო, შენებრ გაბედულად ვიბრძვით სამშობლოსათვის და მართალია შენი არსება ხელიდან გამოგვგლიჯა ულმობელმა სიკვდილმა, მაგრამ შენს სამშობლოს კი ვერავინ გამოგვგლეჯს ხელიდან.

მებრძოლი.

# საქარ. ეროვნული საბჭო

დღეს, კვირას, დილის 10 საათზე, პირველ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის კომისიის წევრთა კრება;

კომისიის წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ კრებას.

— ორშაბათს, 6 საათზე, შესდგება კრება სატეხნიკო სექციისა,

# არეულობა ამიერკავკასიაში

**ტაუზ დან 22** თებერვალს ალიევი დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს. განჯაში ეშელონებთან შემთხვევის შემდეგ, მდგომარეობა ახლო-მახლო მცხოვრებთა შეიცვალა მცხოვრებლები ეჭვის თვალით უყურებენ განჯის ინტელიგენციას სანამ ეშელონებს გამოგზავნიდეთ სასურველია შეადგინოთ დელეგაცია, თვით სოფლის მცხოვრებლებისაგან. დელეგატები უკვე დანიშნულია და იცდიან კოვლიარში, ტაუზში და ძეგამში. გთხოვენ გამოგზავნოთ მატარებელი დელეგატთათვის. სასურველია დელეგატები ეშელონებთან 2 დღით ადრე გაიგზავნოს.

**სეიმის თავმჯდომარემ** გაუგზავნა ერევანში საგუბერნიო კომისარს ქალაქის მოურავს, სომეხთა, მუსულმანებთა, და საერთაშორისო კომიტეტების თავმჯდომარეებს, არქიმანდრიტს, სომხების სამხედრო ნაწილების კომისარს, თავმჯდომარეს ჯარის კაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსი, და სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებს, შემდეგი დეპეშა: უკანასკნელი განხეთქილება ერებს შორის და სისხლის ღვრა, სასირცხო ამბად დარჩება ამიერ-კავკასიის ახალ ისტორიაში. რომ სოლიდარული მუშაობა რევოლიუციის განმტკიცების მიზნით, ითვლება საჭირო პირობად საპატიო დემოკრატიული ზავის შეკვრისა.

სეიმმა ერთხმად დაადგინა, სთხოვოს სომხების და მუსულმანების ნაწილებს, რომ მათ მიიღონ რადიკალური ზომები შემდეგში ამგვარ ექსცესების ასაშორებლად, რათა მოუღონ ბოლო არსებულ ანარქიას. სეიმი როგორც მთავარი ორგანო ამიერ კავკასიისა დარწმუნებულია იმაში, რომ საერთო ძალღონით ორივე ნაწილი მიაღწევს სასურველ შედეგებს.

# ახალი ამბავი

◆ **ახალი მთავრობა. გუშინ სეიმის მორიგ სხდომაზე სეიმმა იმ პირს, რომელიც ერთხმად იყო დასახელებული პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომაზე, მიანდო ახალ მთავრობის შედგენა. რიცხვი თანამშრომლებისა სეიმმა პრემიერს არ განუსაზღვრა. ვინაობა პრემიერისა სეიმში დასახელებული არ იყო.**

◆ ამიერკავკასიის მეთამბაქოეთა ბიურო შეთანხმებით ამიერკავკასიის კოოპერატივთა გამგეობასთან მოაგონებს ყველა იმ კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებს და მეთამბაქოეთა ორგანიზაციებს, რომელთაც ცნობაც ჰქონდათ დაგზავნილი, რომ ცირკულიარის თანახმად დაესწრონ ყრილობას ამა 1918 წლის პირველ მარტს. მისამართი: ქ. ტფილისი მიხეილის პროსპ. № 178.

◆ **გურულების მობილიზაცია** მეოთხე ქართული პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ქარცივაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ: „ოზურგეთის მაზრაში 19—25 წლის ახალ-გაზრდანი უნდა გამოცხადნენ ოზურგეთსა, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში 27 თებერვალს. გურულებო! საჩქაროდ გამოცხადდით

# ერი აღსდგება!

... ხომ მართალია: სამშობლო ჩვენი
განსაცდელისგან ბევრჯერ დახსნილა,
და უკუნეთის შავ ბნელ ღამესა
კვლავ მოჰყოლია ბრწყინვალე დილა?
და ეხლაც, ეხლაც ერთსულოვანად
ამ უკანასკნელ განსაცდელს ჟამს
ერი აღსდგება და როგორც ძველად
შეინარჩუნებს დიდების ალამს.
მაშ, ნუ ჰქვითინებ ქართლისა დედავ,
დედავ შავ ძაძას ნუ მოიბურავ,
მალე მოვა დრო.. და შენ მშობელო,
დიდების მანდილს კვლავ დაიხურავ!
... თქვენ კი თქვენ გმირნო, ბრძოლისა ველზე,
ბრძოლისა ველზე ძვირფასო ძმებო!
რომ აღვადგინოთ დიდება ძველი,
რომ გავიკაფოთ გზა საარსებო.
მშობელი ერი—სამშობლო მხარე
ბრძოლისა ველზე გვეძახის ყველას
ჩვენ ნა ვართ, ძმებო, იმის იმედი
ჩვენგან თხოულობს ის ძმებო, შველას..
... დღეს ბრძოლის ველზე გამოვა ყველა,
ყველა ერთგული ერისა შვილი,
ერი აღსდგება და დაიგვირგვინებს:
ან გამარჯვება და ან სიკვდილი!

ტფილისი, 22 თებერვალი. ი. ვადაჭკორია.

დასახელებულ ადგილებში და ჩაეწერეთ მეოთხე ქართულ პოლკში რომელიც დგება ქ. ოზურგეთში, თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად".

◆ ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირის გამგეობა იწვევს ყველა თავის წევრთ ქართულ კლუბის დარბაზში კრებაზე დასასწრებლად მეტად სერიოზულ კითხვების გადასაწყვეტად როგორიცაა მაგ. ქართულ ოპერების და მუსიკალურ საღამოების მართვა დაიმახსაში, კომპოზ. დიმიტრი არაყიშვილის მოწვევა და სხვა. კრება დაიწყება საღ სრულ 9 საათზე კვირას 25 თებერვალს.

◆ კვირას 25 თებერვალს ქართულ კლუბის შტაბში, (ყოფილ სამხედრო სასწავლებელში, მიხეილის პროსპ.) სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი" კომ. 4 მოქმედ, ა. ცაგარლისა მერე გაიმართება ცეკვა და ბუფეტი. უკრავს საკუთარი სამხედრო მუსიკა. ბილეთები იყიდება იქვე, შტაბში, დილის 10 საათიდან 12 საათამდე და საღამოთი 3 საათიდან 8 საათამდე.

◆ **27 თებერვალი.** ტფ. ტრამვაის მოსამს. პროფ. კავშირი იუწყება, რომ 27 თებერვალს, რევოლიუციის წლის თავის დღესასწაულის დღეს ტრამვაი არ იმუშავებს. ტრამვაის პარკში დილის 10 საათიდან დანიშნულია მიტინგი, რომელზედაც იწვევენ ტრამვაის მოსამსახურეებს მათი ოჯახობით.

◆ **განჯიდან 23** თებერვალს სასურსათო ორგანიზაციათა წარმომადგენლები მიმოსვლის კომისარს დეპეშით ატყობინებენ: ქალაქში და გუბერნიის მაზრებში შესწყვიტეს მუშაობა წყალსადენებმა, ქარხნებმა, წისქვილებმა, მცხოვრებლებს სინათლე არა აქვთ. ამის გამო სხვა და სხვა დაწესებულებებმა ლამპებით შესწყვიტეს მუშაობა. მცხოვრებნი ამაში ბრალს სდებენ სასურსათო ორგანიზაციებს და იმუქრებიან განადგურებას. ორგანიზაციათა მეთაურნი ითხოვენ ექსცესების თავიდან ასაშორებლად 28 ვაგონ ნავთს.

◆ **მაღაზიის გაძარცვა.** ღამით 23 თებერვალს ნიკოლოზის ხიდთან გაძარცვეს სამოხელეცის ტანისამოსის მაღაზია მალხასთან მოიტანა 6 შეიარაღებული კაცი. 2 დარჩენილა მაღაზიის დარაჯთან, 4 კი მაღაზიაში შეუვლან. 60 ათასი მანეთის საქონელია წაღებული.

◆ „**პრომეთე**". გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს" მეორე ნუმერი, შემდეგი შინაარსით: 1. ვაჟა-ფშაველას დაუბეჭდავი ლექსი „ბუნების გლოვა", 2 ვ. ბარნოვი—ამქრის მშვენება, 3. ა. ქუმბაძე—ნაგვიანევი ყვავილი, 4. აკაკი პაპავა—„სოლეილ-დორ", 5. კოწია გამსახურდია—ქორწილი, 6. კ. გამსახურდია—მიზანტროპი, 7. კ. ჭიჭინაძე—იო. ძველი მწერლობა: ა. ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბეჭდების ზედწარწერანი, 8. აფორიზმები ქილილა და დამანადან, 9. ს. გორგაძე—ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა, 10. პავლე ინგოროყვა—„კავკასიის" ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო, 11. რენე შეველი—ფრანგული აზროვნება და ომი, 12. ო. ტერ-გრიგორიანცი—„მშაკი" და სომეხ ქართველთა ურთიერთობა. ჟურნალი ასს გვერდს შეიცავს და ღირს 4 მანეთი. მე-2 ე ნუმერი იყიდება „სახალხო საქმის" კანტორაში, ქ. შ. წერა კითხვის გამ. საზოგადოებაში, ს. ვალიშვილის კიოსკში, „განათლებაში".

◆ **დეპეშები საზავო დელეგაციის შესახებ.** ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ბათომიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: საზავო დელეგაცია გაემგზავრა ბათუმიდან ტრაპიზონში 22 თებერვალს ნაშუადღევის ორ საათზე.

სეიმის თავმჯდომარის ნ. ს. ჩხეიძის სახელზე 24 თებერვალს შინაგან საქმეთა კომისარიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: საზავო დელეგაცია 23 თებერვალს მივიდა ტრაპიზონში.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

**დღეს შუადღისას „სახალხო საქმის" რედაქციაში მოჰხდება მორიგი სხდომა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტისა.**

—

ახალ-გაზრდა სოციალ-ფედერალისტთა სამკითხველოს მომწყობი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომელთაც რაიმე დახმარების გაწევა შეუძლიათ (წიგნების შეგროვება, დანომვრა, სამკითხველოში მორიგეობა) დაესწრონ კომისიის კრებას, რომელიც გაიმართება კვირას, დილის 10 საათზე სამკითხველოს ბინაზე (პარტიულ კლუბის [illegible] განყოფილება).

# გ. დალაქიშვილის ფონდი

კულტურისა და შრომის კავშირის (ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოების) გამგეობამ დაადგინა ტრაგიკულად დაღუპულ გიორგი დალაქიშვილის ფონდის დაარსება, რომლის სარგებლითაც შეინახება სტიპენდიანტი—ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი ამიტომ კავშირის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც განზრახული აქვს განსვენებულის ცხედრის გვირგვინით შემკობა, გვირგვინისათვის გადადებული ფული ხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად გაიღოს შემოწირულება „სახალხო საქმის", „ერთობის" და „საქართველოს" რედაქციებში.

დღემდე შემოვიდა ხსენებულ ფონდისათვის (გვირგვინების ნაცვლად): პარესა კონსტანტინეს ასული და გრიგოლ ზაქარიას ძის ჟორდანიებისაგან 100 მან. ნინა ალექსანდრეს ასული და ოთარ ზაქ. ჟორდანიებისაგან 100 მან. ნინო ილ. და გ. ი. ჟორდანიასაგან 50 მ. სულ 250 მან.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

**22 თებერვლის სხდომა.**

(გაგრძელება)

**მელიქ ასლანოვი** (მუსავ.) საკითხი, რომელზედაც თქვენ მსჯელობთ, ეხლა არ არის წამოყენებული. იგი წამოიჭრა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის ცენტრალი ძალა-უფლება ხელთ იგდო ერთმა პარტიამ, რომელმაც თავის ლოზუნგად გამოაცხადა დაჩაგრულ ერთა ფართო უფლებანი, ხოლო თავის ნამდვილ მიღწევას საფუძვლად დაუდო სრული შეგნება უფრო ადამიანურ უფლებებისაც კი.

რუსეთის ერთა მახლობელ ისტორიას რომ მივაპყროთ თვალი, შევნიშნავთ, რომ ბევრი მათგანი ამ რევოლიუციის დროს დადგა დამოუკიდებელ გზას, რადგან მათ სხვაზე მწვავედ განიცადეს შევიწროება თავიანთ უფლებათა გადასაწყვეტი ჰქონდათ საკითხი არა პოლიტიკურის მარტო, არამედ ფიზიკურის არსებობისაც.

ამიერკავკასიის ყოველი ერი უფრო-სად ლოიალური იყო რუსეთისადმი: ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენ ყველამ პოლიტიკური აღზრდა რუსეთში მივიღეთ და თანაზიარნი ვიყავით რუსულის კულტურისა. სწორედ ამ სულიერი სიახლოვით აიხსნება ის, რომ ჩვენ, ვიდრე შეიძლებოდა, ვიჭერდით ყოველ რგოლს, რომელიც კი რუსეთთან კავშირს არ შეგვიწყვეტდა. მაგრამ რევოლიუციის სრბოლაში ასეთი რგოლები ნელნელა გვეკარგებოდა. ფინანსიური, სასურსათო და პოლიტიკურიც კი, რადგან დამფუძნებელი კრება, რომელსაც ასე მოველოდით, გარეგნად ერთად ერთ კავშირად იყო ფრონტი, მაგრამ იგი დღეს აღარ არსებობს. ასეთ პირობებში უცხო სახელმწიფოსთან ომის წარმოება შეუძლებელი იყო და ამიერკავკასიის კომისარიატიც შეუდგა ზრუნვას იმისას, რომ ეს სისხლის ღვრა შეწყვეტილიყო—ზავის წინადადებას თანაგრძნობით შეხვდება.

ზავის საკითხს ჩვენ მეტად ფრთხილად და წინდახედულად ვეკიდებით. მაგრამ როდესაც დელეგაცია ზავს შესაკვრელად მიემგზავრება, ჩვენ ასე თუ ისე უნდა გავარკვიოთ ჩვენი აზრი და შეხედულება. ის კითხვები, რომელნიც საკმარისად გაარკვიეს ესდეკებმა, არ საჭიროებენ მეტს განმარტებას. ორ ალტერნატივაში ერთია ასარჩევი. თუ ყველა ერი ამიერკავკასიისა თანახმა არის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, მაჰმადიანებიც გამოყვებიან ამ გზით სწორედ იმიტომ, რომ დაიცვან თქვენთან სოლიდარობა და ამიერკავკასიის მთლიანობა. და ის დადგენილება, რომელიც სეიმმა ერთხმად მიიღო 1914 წლის საზღვრების შესახებ, მაჩვენებელი და დამამტკიცებელია თქვენის და ჩვენის თანხმობისა.

ჩვენ მივიღეთ მხედველობაში ყველა ის მოსაზრებანი, რომელნიც მენშევიკებმა გამოსთქვეს, და გადაჭრით ვსთქვით, რომ ტერიტორიის შენარჩუნება თანასწორი მიზანია თქვენიც და ჩვენიც. ხოლო როგორი იქნება ჩვენი მომავალი, ამას ეხლა თქმა მეტად ძნელია.

ის შიში, რომელიც აქ ჟორდანიამ გამოთქვა, უნდა გაქრეს ჩვენი განმარტების შემდეგ. ამიერკავკასიის საზღვრებში უნდა მოთავსდეს აგრეთვე დაღესტანი, უკეთუ ის ამას მოისურვებს, ჩვენ კი მათ ხელს ვერა ვკრავთ.

ჩვენ ვდგევართ დაუნდობელის, ისტორიულის აუცილებლობის წინაშე ვსთქვათ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა. უმისოდ ჩვენ ვერ მოვიღებთ იმ ზავს, რომლისთვისაც დელეგაცია გავისტუმრეთ. სეიმმა უნდა გამოიტანოს დადგენილება: სეიმი აუცილებლად საჭიროებად სცნობს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გარეშე ასეთ განცხადებისა ამიერკავკასიის შემდგომი არსებობა საეჭვოა შეიქნება.

**სემიონოვი.** ეს არის ნაბიჯი, რომლის გადადგმა ადვილია, ხოლო მასთან დაბრუნება ძნელია. ასეთი ნაბიჯია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. მე ვფიქრობ, რომ ასეთ გამოცხადებით თქვენ სწორედ იმ ოსმალოს ულტიმატუმს მიჰყვებით, რომელსაც ვითომცდა თავიდან იცილებთ დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ოსმალეთი მრავალ რიგ დამოუკიდებელს გიწოდებდათ, გიწოდებდათ იმ განზრახვით, რომ თქვენ ასეთი დამოუკიდებლობა ნამდვილათ გამოგეცხადებინათ, გიწოდებდათ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან გერმანია მოქმედებდა ის ხომ იმ ხერხს მიჰმართავს, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია!

თქვენ დამოუკიდებლობის გამოცხადებით ოსმალეთს კომპენსაციას სთავაზობთ, რომ მან ხელი აიღოს ბათომის და ყარსის ოლქებზე. თქვენ ამბობთ, რომ რუსეთისა მახვილი ხელიდან გაგვდოთ, მაგრამ განა თქვენ თითონ არ იძახდით: ზავი, ზავი! ხალხი თქვენ, თქვენ ხალხთა წინამძღოლნი, ნუ თუ დარწმუნებულნი ხართ, რომ მათ სასურველ ერთიმეორესთან მიეყვანეთ? ვფიქრობ. ეჭვი მაქვს აგრეთვე, რომ ოსმალეთის სომხეთის ავტონომია თქვენ ისეთ პირობაში დასტოვოთ, ურომლისოდ ზავი შეუძლებელი გახდება.

სასურსათო საქმეც აწ წილია, ამ გასაჭირის გასანელებლად თქვენ გაქვთ ერთი გზა ჩრდილო-კავკასია, რომლითაც თქვენ ისევე სარგებლობთ, როგორც თქვენი საკუთარი [illegible] დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გინდათ ეს გზა [illegible]!

ათჯერ ასწონ-დასწონეთ საქმის ვითარება! ნუ გადასდგამთ ასეთ ნაბიჯს!

თავმჯდომარე ლაპარაკის მოსურნენი არ არიან. არის წინადადება დაარსდეს კომისია.

**ნ. ჟორდანია.** კომისია დაარსდეს მარტო მაშინ, როცა გვეცოდინება ყველა ფრაქციის აზრი.

**ტიგრანიანი.** (დ.-შ.) როცა ეს საკითხი გამოირკვევა ყოველმხრივ და საჭირო მასალა სამსჯელოდ ხელთ გვექნება, მაშინ უნდა გადასწყდეს იგი. ეს არის ტეხნიკის საკითხი, როგორც ამბობენ, არა ეს შემუშავებაა იმ ძირითად დებულებისა, რომელთა მიხედვით დიადი აქტი უნდა გამოცხადდეს.

**თევზაია.** (ს. დ.) ჟორდანიამ გარკვევით სთქვა: „ჩვენი მსჯელობის საგანი ის არის, რომ ხალხი მომზადდეს". შემდეგ ორატორი ვრცლად უპასუხებს კადეტს სემიონოვს და თავის პასუხში იგონებს კადეტების სულისკვეთებას. თქვენ და თქვენი მოაზრენი, სეიმის წევრო სემიონოვო, არა თუ განშორების წინააღმდეგნი იყავით თქვენ ეწინააღმდეგებოდით აგრეთვე ცოტაოდენ ფართო დეცენტრალიზაციასაც როდესაც ტერეშჩენკომ, წერეთელმა და ჩხეიძემ უკრაინა ცოტაოდენ დააკმაყოფილეს, განა ეს არ იყო მიზეზი თქვენი თანამოაზრეების კაბინეტიდან წასვლისა? ჩვენ პასუხი უნდა გავსცეთ აგრეთვე უსაფუძვლოდ გადმოსროლილს ბრალდებას. სეიმის წევრთა შორის არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც ფრონტის გაშიშვლებისკენ მოუწოდებდა ხალხს, მაგრამ არც ერთი დეპუტატი არის ჩვენ შორის, რომელიც ხალხს ეტყოდა: დაუსრულებლივ იომეთო! (ტაში), სემიონოვის თანამოაზრეთ ერთი ბიჯითაც არ დაუთმეს დემოკრატიას, ხოლო მათი ანტიპოდები—ჩვენ ვფიქრობდით თქვენს მორიგებას ბოლშევიკებთან, დათმობაზე გათათბირებდით, მაგრამ თქვენ არაფერი არ დათმეთ. და დღევანდელ განსაცდელში თქვენ ისევე ხართ დამნაშავენი და მონაწილენი, როგორც ბოლშევიკები.

არა მარტო ოსმალეთის უღელი, ყველას უღელი აუტანელია და ჩვენ არც ერთის უღელს არ დავიდგამთ. მაგრამ თუ თქვენ, სეიმის წევრო სემიონოვო, ამბობთ, რომ ოსმალეთს „ბაღდადი" მეტი სხვა ჯარი არა ჰყავს, მაშ რომელ უღელზეა ლაპარაკი? (სემიონოვი დარბაზიდან გადის).

თევზაია თავის სიტყვას იმით ასრულებს, რომ დამოუკიდებლობის გზა ერთად ერთი გზაა თავისუფლების შენარჩუნებისათვის.

**აგამალოვი** (ჰუმეთ) აქ ორიენტაციაზე ბევრი ილაპარაკეს. 1897 წლიდან მე თვალყურს ვადევნებ სომეხთათართა ურთიერთობას და ვამბობ, რომ მათ შორის 1905 წლამდე მტრობა არ ყოფილა. (ხმები: მართალია!) მაგრამ ამის მერე ჰხდება ერთი ერის მეორეზე წასისიანება და ამ ნიადაგზე სწარმოებს ბევრი უთანხმოება, თუმცა ამას ბევრნი წმინდა ეკონომიური მიზეზებით ხსნიან. თათრულ მწერლობაში სომხებისადმი არავითარი სიძულვილი არა სჩანს სრულებით. არც სომხის მწერლობაში შემხვედრია ასეთი მოტივი გარდა იმ პროტესტისა, რომელიც ოსმალეთის კირთებას უცხადებს იგი. მაგრამ ასეთ პროტესტს ხომ ჩვენც და ყველანი ვიზიარებთ?

**თავმჯდომარეობს აგაევი.**

**გრიციანი.** ამ საკითხის გაურკვევლად გადაწყვეტას არა მიზანშეწონილად სცნობს და მოითხოვს წინასწარ კომისიაში გადაეცეს და მოუცადოთ იმას, თუ როგორი ვითარება შეიქმნება საზავო მოლაპარაკების დროს.

**ი. გობეჩია** (ს.-რ.). ჩვენი პარტია ყოველთვის მომხრე იყო დეცენტრალიზაციისა და ყოველ ერისთვის აღიარებდა უფლებას თვითგამორკვევისას, როგორადაც უნდა ჩამოყალიბდეს იგი: ავტონომიად, ფედერაციად და გინდ სეპარაციად. ამიერკავკასიის დემოკრატიის სიწრფელეში ეჭვი არავის შეეპარება. რევოლიუციით მონაპოვარ უფლებათა დასაცავად და სარევოლიუციო წესიერების შენარჩუნებისათვის უნდა აღვიაროთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

თავმჯდომარეობს კვლავ **ჩხეიძე.**

**რიგგარეშე განცხადება.**

**ე. გეგეჭკორი** მოახსენებს, რომ ერევნის გუბერნიაში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია და სთხოვს სეიმს მოწოდებით მიჰმართოს ყველა

იქაურ მოქალაქეს, რაც ცოტა არ იყოს საქმისთვის სასარგებლო იქნება.

გიორგაძე აცხადებს, რომ კომისია რომელსაც ასეთ საქმეთა გამოძიება და ლიკვიდაცია მიენდო, ამაღამ 10 საათზე ჯავშნიანი მატარებლით მიემგზავრება ერევანში—პროვოკატორების წინააღმდეგ სასტიკ ზომების მისაღებად.

სეიმი ავალებს პრეზიდიუმს გამოსცეს მოწოდება საერთოდ ყველასადმი.

შემდეგ ასეთ განცხადებისა სეიმი კვლავ უბრუნდება დამოუკიდებლობის საკითხს.

ნ. რამიშვილი ადგენს ფორმულას: სეიმი შექმნილ პირობებში პრინციპიალურად სწყვეტს მიიღოს დამოუკიდებლობა, გადასცემს მას კომისიას და გადადის მორიგ საქმეებზე.

ხან-ხოისკი აცხადებს: შეუძლებელია ამის მიღება, როცა ერთი ერის წარმომადგენელი თავის ხმას გადაჭრილად არ უერთებს.

სეიმი ფორმულას იღებს. ირჩევენ კომისიას. მსხვილ ფრაქციებიდან ორორს, წვრილებიდან თითოს.

„მუსავატი"-ს ფრაქცია უარს აცხადებს კომისიაში მონაწილეობაზე.

სხდომა სეიმისა ამით სრულდება.

## ზოგი რამ

რუსული ცენტრალიზმის მოძღვარნი საქართველოში მარტონი არ არიან. მოწაფენიც ჰყავთ. ტფილისში დაარსდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელიც შეუდგა გამოცემას ყოველ კვირეული ჟურნალისას, რომელსაც ეწოდება **ახალი კვალი**. ცენტრალიზმის ტრფობა და ეროვნული საბჭოების ათვალწუნება აშკარად გამოჰკრთის ჟურნალის მეოთხე ნომერში. მოქალაქე მ. ხუნდაძე კავკასიის სეიმის გამო სწერს, „რაც შეეხება ეროვნულ საბჭოებს, მათთვის სახელმწიფოებრივი უფლებების გადაცემა, ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია. ეს მხოლოდ ეროვნულ შუღლს გააჩაღებ და ამიერკავკასიაშიო". შემდეგ, როცა მ. ხუნდაძე იკითხავს, რა უნდა გააკეთოს სეიმმაო, დასძენს „შემდეგი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც უნდა გადაჭრას სეიმმა, შეეხება ეროვნულ პოლიტიკურ თვითმართველობათა შემოღებასო".

თუ ამ ჟამად შეუძლებელი ყოფილა სახელმწიფოებრივი უფლების გადაცემა ეროვნული საბჭოებისათვის, მაშინ სეიმის შემოღებული ეროვნულ პოლიტიკური თვითმმართველობა ვერ უნდა გასცილდეს ბედ მლაშე ერობასა. დოგმატი სარწმუნოდ მისაღები მცნებაა, თუნდაც გონების წინააღმდეგი იყვეს, როგორც ჩვევია მაგალითად ღვთისმეტყველებას, მაგრამ ცენტრალიზმის დოგმატიც ჩვენში ისევე შეურყეველი გამხდარა და ისწრაფის არა თუ დაჩრდილოს, არამედ ჩაჰკლას ყოველი მისწრაფება ეროვნულ პოლიტიკური ცხოვრებისადმი.

ცენტრალიზმი ისე არც ერთს ხალხს არა სჭირია, როგორც ქართველობას, რომელიც 15 საუკუნითგან მსხვერპლი შექმნა საქართველოს მეფე-მთავართა არა ფედერატიული დეცენტრალისტური პოლიტიკისა მაგრამ ასე თუ მივჰყევით პატარ პატარა ერის ცენტრის მისპობას რომლისამე დიდი ცენტრის სასარგებლოდ, აქაო და დემოკრატიის მთლიანობის ინტერესი მოითხოვსო მაშინ რა ნება გვაქვს ცენტრალიზმის ზვარაკად არ შევსწიროთ რომელსამე უფრო დიდ ცენტრს თვით ველიკორუსიის ცენტრიც, რომლის დაცვასაც ეგრე ძლიერ ესწრაფიან უფრო ქართველი სოციალ-დემოკრატები ისწრაფიან? მაშინ უკეთესი იქმნება მთელი სამყაროს დემოკრატია საიდეალო ცენტრის დიქტატურას დაუმორჩილოთ და ტახტი დაუდგათ იქ, სადაც სამყაროს ჰიპი იქმნება. მაგრამ არა! ლითონებს უთქვამთ **სუუმ კუიქვე**, ხოლო ქართველებს, **რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს**.

ბედმა წილად გვარგუნა საქართველოს დემოკრატიის სამსახური. ნუ თუ ამ ბრძოლ დემოკრატიას უკეთ ვემსახურებით, თუ ჩვენს ნების ყოფას თავს მოვახვევთ სხვა ქვეყნის დემოკრატიასაც. ეს ხომ ერთგვარი იმპერიალისტური სოციალიზმი იქმნებოდა.

ჩვენის აზრით ერთობა ძალაა, რაც ემყარება თავისუფალ წევრთა ნების ყოფა ა. მაშასადამე ხალხთა დემოკრატიის მთლიანობაც მაშინ უფრო უზრუნველ ყოფილი იქმნება, როცა მათ თვითეულთა თავისუფლება იქმნება მათი ერთობის საფუძველი.

* * *

ქართულმა უნივერსიტეტმა შემოიკრიბა გაფანტული ქართველი მსწავლულები, რომელნიც უნდა გაუძღვნენ ქართული უმაღლესი სწავლის საქმეს. ჯერ ჯერობით უნივერსიტეტს ერთი დარგი აქვს, **სიბრძნის დარგი**, რომელიც თავისი პროგრამით უდრის რუსული უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტებს. კაცმა რომ გადაათვალიეროს ნუსხა უნივერსიტეტის საგნებისა, რომელიც იკითხება, თითქოს სრულიც უნდა იყვეს, რადგანაც საქართველოს არხეოლოგიაც, ე. ი. სიძველეთა სწავლის კათედრაც კი არ დავიწყებიათ. ხსენებული დარგი ჯერ ხელთნაწერთა კატალოგიზაციას, ჯვრების და ხატების, აღმონათხარ ნივთთა აღნუსხვას, ტაძრების აღწერას და წარწერათა გადმოწერას არ გასცილებია და განვითარებულ სწავლასაც რომ შეიცავდეს ისეთს, მაგალითად, როგორიც არის ებრაული, ბერძნულ რომაული, ან სხვა რომლისამე ძველი ერის არხეოლოგია მაშინაც საქართველოს არხეოლოგიის კათედრის დაარსება სამდიდრო რამ უნდა იყვეს და უმართებულოც, თუ ქართული საერო სიტყვა კაზმული ლიტერატურის კათედრა არ არსებობს დამოუკიდებლად.

საქმისთვის, რა საკვირველია, უფრო სასარგებლო იქმნებოდა, რომ ქართული ლინგვისტიკა და ქართული საერო ნახელოვნები მწერლობა წარმოდგენილი ყოფილიყო ცალცალკე ლექტორის მიერ, რადგანაც ერთი კაცის ხელში შეუძლებელია ორთავ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ერთი მათგანი არ დამცირდეს. ლიტერატურის საგანია ერის საზოგადოებრივი განვითარების შესწავლა სალიტერატურო ტიპების ანალიზით და მათი ევოლიუციის ახსნით, კვლევა საზოგადოებრივი ცხოვრების სულის ვითარებისა, რომელიც თავისებურად გამოჰკრთის მწერლობის ყოველ პერიოდში. მოგეხსენებათ, ქართულ მწერლობას, ვიგულვებთ მხოლოდ საეროს და სიტყვა კაზმულს, აქვს განვითარების რამდენიმე პერიოდი. პირველთა აყვავების, მეორე დავარდნის, მესამე აღორძინების, ხოლო მეოთხე ახალი და უახლესი. ჩვენს უნივერსიტეტს მართლა რომ ჰქონდეს დიდი შეძლება, ყოველ პერიოდს ცალკე ლექტორი უნდა უშოვოს, არა ორიენტალისტი და ლინგვისტი, არამედ ღრმა მკვლევარი სიტყვიერებისა და აღჭურვილი სალიტერატურო კვლევაძიების თანამედროვე მეთოდებით. მაგრამ იმ დროს, როცა ღონისძიება არა გვაქვს, რომ თუ ოთხი არა, ორი ლექტორი მაინც მოვიწვიოთ, თუნდა ჯერჯერობით აყვავებისა და ახალი ლიტერატურისათვის, დიახ იმ დროს საქართველოს არხეოლოგიის კათედრა დაგვიარსებია, თითქოს ყველაფრად სავსე ვიყვნეთ, არაფერი არ გვაკლდეს.

უნივერსიტეტის გახსნის დღესასწაული აღინიშნა ერთი ღირსსახსოვარი სიტყვით, რომელიც წარმოსთქვა მოქალაქე მუშამ ვ. მგელაძემ. სიტყვის საშუალი იყო ერთი მეტად საგულისხმიერო სათხოვარი, ის, რომ უნივერსიტეტის კარი არ დახშულიყო მშრომელი კლასისთვის და მათთვისაც შესაძლებელი გამხდარიყო მეცნიერების ყურისგდება.

სამართლიანი სათხოვარია და იმედი გვაქვს, უნივერსიტეტის გამგეობა შემოიღებს საჯარო უსასყიდლო ლექციებსაც.

უნდა ვეცადნეთ, მეცნიერების ტაძარიც თუ მუდამ არა, ზოგჯერ მაინც ღია იყვეს, რომ ტვირთმძიმე და მაშვრალიც ეზიაროს მეცნიერების მადლსა.

პეტრე მირიანაშვილი

## ვედრება

უფალო! უფალო!

გესმის თუ არა სისხლთა მდინარეების ზუილი, ჯოჯოხეთის ცეცხლის გუგუნი და უმწეოთა გოდება?

რა თქმა უნდა შენ გესმის ყოველივე ჭვრეტ, სდუმხარ, სდუმხარ რაღაც მოსაზრებით, ალბათ თუ ჰფიქრობ გამოსცადო ადამიანის სიძლიერე. შენ გახსოვს, რომ ჯერ კიდევ გუშინ, შენ გეპოტინებოდნენ, შენ გეძებდნენ, გიხმობდნენ და დღეს ეს სისხლით დამთვრალი ორგია ფეხ ქვეშ გთელავს შენც და ყოველივე შენს შემოქმედებას.

ხომ მართალია, ხომ სცდი, ხომ არ აიღებ მასზე ხელს სამუდამოთ, ჩემო სასოების სიმბოლოვ.

ოო! შენ არ იქნები ესოდენ სასტიკი, შენზე ბევრი რამ სათნო გამიგონია.—მაშინ ზღვები დაშრებოდა, მდინარეები აღმა დენას იწყებდა, მზე დედამიწას დაენარცხებოდა, შენ თუ ადამიანზე ხელს აიღებდი.

არა, არა, ათასჯერ არა. დაე ურწმუნოთ ირწმუნონ შენი არა რაობა კაცთან ერთად, მე კი, არა.

ჩვენ არარანი, მოვდივართ და მივდივართ ვით გაზაფხულის ფოთოლნი შენ კი ყოველთვის ხარ უცვლელად უძლეველო მარადისობავ, ჰქმნი ათას ფეროვან ისტორიას, არავინ უწყის დასაწყისი შენი და ვინ გაზომოს დასასრული?

კმარა, კმარა ამდენი სისხლი ძმათაგან ძმისა, მრავალ საუკუნეთ ეყოფა ისტორია ეს შესასწავლად.

ოო, ვინ დამიჯერებს რომ მოყვასთა ხოცვაში შენი ხელი ერიოს უფალო?

უნდა ბოლო მოეღოს ესოდენ უბედურებას, თორემ ადამიანის ძე სასოებას დაჰკარგავს შენში, სრულიად იბრუნებს პირს შენგან; ამაზე მეტი საშინელება დატრიალდება და მაშინ? ან იქნება შენ ასე გსურდეს? იქნება კაცმა უკვე სთქვა თავისი სიტყვა და ამაზე მაღალი ვეღარა სთქვას რა?

იქნებ დრო არის გაცვდეს დედამიწა და ზედ სიცოცხლე სწყდებოდეს?

იქნებ სხვა მნათობზე ამოდის ახალი მზე, ახალი ცხოვრება?

ოო, თუ ასეა მაშ რაღას ვიტანჯებით, დაე შეირყეს დედა-მიწა, აღმოსკდეს ცეცხლის მფრქვეველი მთებით. ცეცხლთა მდინარეებმა ჩაჰყლაპოს მთელი ქვეყანა, დავხუჭოთ თვალი და შთაინთქას ყოველივე.

არ ვისურვებდი მეორეთ შობას სხვა მნათობზე, არა... არა...

მაგრამ რას ვამბობ, მწუხარებით გადავირიე.

არა, მე მინდა მშვიდი: ყოველივე ეს კაცთა გაუგებრობაა, ჩქარა გაივლის და საკაცობრიო ფერხულში ჩემი პატარა მკვლევრითი ამღვარი სამშობლოც ჩაებმის.

მისი, დღეს ურჩი, ულმური შვილები იცნობენ თავს თვისას და სამადლობელით ზვარაკს შესწირავენ შენს ტრაპეზზე.

დაე ეს იყოს გაკვეთილად საშვილიშვილოდ.

აღსრულდეს ნება კეთილი, უფალო!

მარ. გაჩიეული.

## შინ და გარედ

დრო საკმაოდ რთულია... საფრთხე შავ აჩრდილად მოგვევლინა და შავი ყორანი თავს დაგვჩხავის,—სამშობლო და რევოლიუცია შველას მოითხოვს! და ყოველივე ეს შეგნებულებს საბრძოლველად მოუხმობს.. შეიარაღება, ერთსულოვნობა, ჯარი! აი, რა გვიხსნის ჩვენ გაჭირვებისაგან. მხოლოდ შეიარაღებული ძალით შეიძლება დღეს ჩვენში გამეფებულ ანარქიის ჩაქრობა! მხოლოდ რეალური ძალით, ჯარით შეიძლება თავისუფლების შენარჩუნება! და უმთავრესი ყურადღება ამას უნდა მიექცეს ჩვენი არსებობის დასაცავად! და ყოველივე ეს არამც თუ ნებას გვაძლევს შინ „კერა" გავაცივოთ, პირ-იქით, შინ და გარედ უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ძალა, ჩვენი შრომა, რომ ღირსეული პასუხი გავსცეთ მტერს თუ მოყვარეს! და ყოველივე ეს ხელს არ გვიშლის ჩვენი, ახალგაზრდა სოციალ ფედერალისტების, პატარა, მაგრამ დიდი ხნის სურვილი განვახორციელოთ და გავხსნათ სამკითხველო, სადაც შინ დარჩენილ ამხანაგებს შეეძლებათ გადასცენ, გაუზიარონ გულის ნადები ჩვენს პატარა და-ძმებს!.. სადაც ქალები თავისუფალ აზროვნებას მიეჩვევიან, სადაც ბლომად იქნება წიგნები, თუ ჟურნალ გაზეთები!..

ეს სამკითხველო **პირველ მარტიდან** გაიხსნება და თხოვნით მივმართავთ **ყველა რედაქციას**, რომ ჩვენ ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტებს, თავიანთი გამოცემა დაგვითმონ და გამოგვიგზავნონ შემდეგი მისამართით: **Тифлисъ, бюро соц.-федералистовъ.** სამკითხველოსთვის. თუ ვინიცობაა, რომელიმე რედაქციამ, რაიმე მიზეზით, ვერ გამოგვიგზავნა ჟურნალი, თუ გაზეთი—ვთხოვთ წინასწარ გვაცნობოს, რათა დროზე მივაწოდოთ ღირებული ფასი...

იმედია, ვინც ახალგაზრდობაზე ზრუნავს ის ჩვენს სამკითხველოს არ დაივიწყებს და დაგვეხმარება!..

ხ. ხიმშელი.

## ცნობა

კიევის ქართ. კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

კიევის ქართ. კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცნობებს ქართველ საზოგადოებას, რომ იმ საშინელ უბედურების დროს, რომელიც კიევს თავს დაატყდა 16 იანვრიდან ვიდრე 26 იანვრამდი უკრაინელებსა და ბოლშევიკების ომის გამო. ქართველთაგან, გარდა ერთისა, საბედნიეროთ, არავინ მომკვდარა და არც არავინ დაჭრილა.

მსხვერპლი შეიქმნა მხოლოდ ერთი ქართველი—ექიმი გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე. (ქუთაისელი)

იგი მოკლეს სრულიად უდანაშაულოდ (იმისთვის, რომ მას ქონდა მოწმობა, რომ იგი **უკრაინელი სამხედრო გოსპიტლის** ექიმი იყო) „ბოლშევიკებმა" 26 იანვარს, როცა ისინი, გამარჯვებით გალაღებულნი გამხეცებული ჯალათებივით დაძრწოდნენ ქუჩებში, ჩხრეკდნენ ყველას და ვისაც რაიმე ოდნავი საბუთი აღმოაჩნდება უდა „უკრაინელობისა"—ხვრეტდნენ კიდეც.

ფურცელაძე აქვე დავასაფლავეთ მთელი ადგილობრივი ქართველობის თანადასწრებით.

კ. ქ. კ. ა. კ. თავმჯდომარე
მ. ტუავაძე.
მდივანი ნ. ბოკუჩავა.

სხვა ქართ. გაზეთებსაც ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს ცნობა.

კომიტეტი.

## პატ. „სახალხო საქმის" რედაქციას!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატ. გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ ვაცნობოთ ჩვენს მშობლებსა და ნათესავებს შემდეგი:

ფრონტიდან დაბრუნებულნი კიევში ვიმყოფებით, და ვმუშაობთ კიევში არსებულ ქართ. სამხედრო კომისარიატის გარშემო. ცოცხლები ვართ და კარგად მიუხედავად იმისა რომ 16 იანვრიდან 26 იანვრამდე უკრაინელებისა და ბოლშევიკების ომის გამო დიდი გაჭირვება გამოვცადეთ. მალე სამშობლოში ვიქნებით. მთელის ჩვენის არსებით ვესწრაფით ამ დღეს. ეხლა მხოლოდ კომისარიატის საქმეები გვაჩერებს.

სალამი ყველა ჩვენს ნაცნობ-მეგობრებს!

**ნიკოდიმოს ბრეგვაძე**, კაპიტანი ალექსი ოქროპირის ძე სვანიძე. შალვა რამიშვილი, ლადო სვიმონიშვილი, პოლკოვნიკი ავალიშვილი, პოდპორუჩიკი ალექსანდრე (ჰიკო) გვაჯავა.

## ვ. ჭართა საზოგადოება

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის წესდება უკვე დაამტკიცა ოლქის სასამართლომ. კავშირის მიზანია: იყოლიოს წარმომადგენლები ვაჭრობისა და მრეწველობისა სხვა და სხვა დაწესებულებაში, მიიღოს ზომები როგორც პროფესიონალური კავშირების ისე სავაჭრო-სამრეწველო საქმეების დაარსებაში, გამართოს მუზეუმი, ლაბორატორიები, გამოფენები, შეისწავლოს და გამოაქვეყნოს ცნობები ეკონომიური ცხოვრებისა და სხვა. წევრნი იხდიან საწევრო ფულს შესვლისას ერთდროულად 25 მან. და წლიურად 15 მან. ამ დღეებში ეს წესდება დაიბეჭდება ქართულად და დარიგდება როგორც ტფილისში ისე პროვინციაში. როცა კავშირში ჩაეწერება საკმაო რიცხვი, მაშინ შეიკრიბება საზოგადო კრება ადმინისტრაციის ასარჩევად. ჯერჯერობით დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ კავკასიის ბანკის გამგესთან, ის. ლორთქიფანიძესთან.

გამომცემელი
სამხრე ფედერალისტთა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა


გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.



საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ცვირდანოვის ქ. № 6.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფებს (ფსიხოთერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, დ პარასკებს 3—5 ს. ოლღის ქ. № 22. 132

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე სად. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე სა. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათიდამ, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდ და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კირძო სამკურნალო მიხეილის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საშვილო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—2½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—87. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულებების, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა. სნეულებანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონ-დის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის სამედიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საშვილო საშვილოსნო ავადმყოფებს 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ჭლექის და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლოლიქი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ოთახი. 1002

ექიმი
თოფჩიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირპიჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ზინაიშვილი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადილის შემდეგ ავადმყოფებს 5—8 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 81, [illegible] 1030

ძ. კახეთში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, კანისა და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სოლოლაკის და მიშენურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშ., სახეზი და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ. დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოდ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134